სასწავლო კურსის სილაბუსი

სასწავლო კურსის დასახელება	**აკადემიური წერა იურისტებისთვის** Academic Legal Writing
ავტორი	დავით კერესელიძე, სრული პროფესორი
ლექტორი (ლექტორები)	დავით კერესელიძე, სრული პროფესორი იურიდიული ფაკულტეტის კერძო სამართლის მიმართულება 577254422; kereselidze@tsu.ge
სასწავლო კურსის (მოდულის) კოდი	*კოდის მინიჭება ხდება შესაბამისი ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მიერ უნივერსიტეტში მოქმედი ერთიანი წესის შესაბამისად.*
სასწავლო კურსის სტატუსი	იურიდიული ფაკულტეტი სამართლის სადოქტორო პროგრამა სავალდებულო
სასწავლო კურსის მიზნები	კურსის მიზანია სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების სწავლება. სტუდენტთათვის კრიტიკული აზროვნებისა და აკადემიური წერის უნარის განვითარება. ზოგადი პოსტულატი: ნაშრომს უნდა ახასიათებდეს სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი დარგის განვითარებაში – არის ძირითადი, მაგრამ არაერთადერთი მოთხოვნა, რომელიც წაეყენება სამეცნიერო ნაშრომს. ავტორის კვლევა უნდა იყოს მკითხველზე ორიენტირებული, და მიღებული კვლევის შედეგი მხოლოდ მაშინ მოახერხებს დარგის განვითარებაში წვლილის შეტანას, თუ ის დამაჯერებელი (სანდო) იქნება. სტუდენტი სწავლობს დამაჯერებელი კვლევის განხორციელებას, სამეცნიერო კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნების დაცვასა და ტექნიკურად გამართული ნაშრომის ფორმირებას.
კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამნისად (ECTS)	15 კრედიტი ლექცია 60 საათი, დამოუკიდებელი მუშაობა: სასწავლო კომპონენტების თვისება და დამოუკიდებლად შესრულებული კვლევითი ნაშრომების მომზადება – 308 საათი; შუალედური გამოცდა – 4 საათი; დასკვნითი გამოცდის ჩაბარება – 3 საათი.
სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები	არ არსებობს
სწავლის შედეგები	**ცოდნა და გაცნობიერება** სტუდენტი აითვისებს აკადემიური წერის ძირითად სტანდარტებს და შეძლებს აკადემიური ნაშრომის დაწერისას კვლევის

	შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების გამოყენებას, კვლევის საკუთარი სტრატეგიის განსაზღვრას სათანადო სამეცნიერო მასალის, მათ შორის როგორც ტრადიციული, ისე ელექტრონული უახლესი რესურსების, გამოყენებით. **ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი** იგი გამოიმუშავებს არასრული და/ან განსხვავებული მონაცემების (როგორც ნორმატული მასალის, ისე სასამართლო პრაქტიკისა და სამეცნიერო შეხედულებების) კრიტიკული ანალიზის, ინოვაციური სინთეზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარებს. **ღირებულებები** სწავლების შერჩეული მეთოდი ხელს უწყობს სამეცნიერო საზოგადოებასთან კომუნიკაციის უნარის განვითარებას, ასევე აკადემიური პატიოსნების ღირებულებითი კატეგორიის განვითარებას.
სასწავლო კურსის ფორმატი	ინტერაქტიური ლექცია.
სასწავლო კურსის შინაარსი	*(იხ. დანართი 1).*
სწავლების/ სწავლის მეთოდები	აკადემიური წერის შესწავლა ხორციელდება ინტერაქტიური ლექციის ფორმატის გამოყენებით. ცოდნის შემოწმების კომპონენტები განხილება აუდიტორიაში სტუდენტთა მონაწილეობით.
შეფასების კრიტერიუმები	ლექცია 60 საათი, დამოუკიდებელი მუშაობა 115, ცოდნის შემოწმების კომპონენტების – დამოუკიდებლად შესრულებული კვლევითი ნაშრომების მომზადება 200 (30/30/140). შეფასება შედგება სამი კომპონენტისგან: კვლევის თემის პირობითი სტრუქტურა 30 (30%), პირველადი წყაროს ანალიზი 30 (30%) და ნაშრომის შესავალი – მიზანი, მეთოდი, სავარაუდო შედეგი/თეზისი (40%). ნაშრომის პირობითი სტრუქტურა ემსახურება როგორც ნაშრომის სათაურსა და სტრუქტურას შორის ურთიერთკავშირის ადეკვატურობის დადგენას, ისე შინაგანი ლოგიკურობისა და თანმიმდევრულობის შეფასებას. პირველადი წყაროს ანალიზით სტუდენტი სწავლობს პირველად წყაროებზე მუშაობას, ასევე სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სამეცნიერო სტატიების კვლევაში ინტეგრაციას. ნაშრომის შესავალში ფასდება პირობითი თეზისის იდენტიფიცირების სიზუსტე, დასახული მიზნისა და მეთოდის თანხვედრა. კომპონენტებს სტუდენტი ასრულებს კვლევის შინაარსობრივი მოთხოვნებისა და ტექნიკური სტანდარტების გამოყენებით. დასკვნით გამოცდაზე (ნაშრომის შესავალი) დაიშვება სტუდენტი შუალედურ კომპონენტებში მინიმუმ 11 ქულის დაგროვების შემთხვევაში.
სავალდებულო	დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები (არ არის გამოქვეყნებული – სტუდენტებს მათივე არჩევანის შესაბამისად

ლიტერატურა	გადაეცემათ ელექტრონული ან ბეჭდვითი ფორმით)
დამატებითი ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა	Volokh, Eugene, Academic Legal Writing: Law Review Articles, Student Notes, Seminar Papers, and Getting on Law Review, New York (Foundation Press), 4. ed., 2010 (3. ed., 2007 ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში). Garner, Bryan A., Exercises from Legal Writing in Plain English, Chicago (University of Chicago Press), 2001 (ხელმისაწვდომია: [http://press.uchicago.edu/ucp/books/book/chicago/L/bo3620670.html). Theisen, Manuel Rene, Wissenschaftliches Arbeiten, Technik – Methodik – Form, Muenchen (Vahlen), 10. Aufl., 2002. (7. Aufl., 1993 ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში). Bloom, Benjamin S./Krathwohl, David R., Taxonomy of Educational Objectives: The Classification of Educational Goals, by a committee of college and university examiners, Handbook I: Cognitive Domain, New York, Longmans, Green, 1956. ასევე აქტუალური გამოცემები სხვადასხვა ენებზე: • Neuman, Richard K. Jr., Legal Reasoning and Legal Writing (5th ed. 2005 ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში); • The Bluebook: A Uniform System of Citation (19th ed., 18th ed. 2005 ხელმისაწვდომია თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ბიბლიოთეკაში); • Lebovits, Gerald, The Legal Writer, Academic Legal Writing: How to Write and Publish, 78 N.Y. St. B.J. 64 (2006); • Le Clercq, Terri, Guide to Legal Writing Style (3rd ed. 2004); • Sloan, Amy E., Basic Legal Research (3rd ed. 2006); • Mersky/Dunn, Fundamentals of Legal Research (8th ed. 2002); • Berring/Edinger, Finding the Law (12th ed. 2005); • Theisen, Manuel Rene, ABC des wissenschaftlichen Arbeitens, Erfolgreich in Schule, Studium und Beruf; • Bänsch, Axel, Wissenschaftliches Arbeiten, Seminar- und Diplomarbeiten; Franck, Norbert, Die Technik wissenschaftlichen Arbeitens. Eine praktische Anleitung; • Eco, Umberto, Wie man eine wissenschaftliche Abschlußarbeit schreibt. Doktor-, Diplom- und Magisterarbeit in den Geistes- und Sozialwissenschaften; • Esselborn-Krumbiegel, Helga, Von der Idee zum Text. Eine Anleitung zum wissenschaftlichen Schreiben; • Karmasin, Matthias, Die Gestaltung wissenschaftlicher Arbeiten; • Rossig, Wolfram E., Wissenschaftliche Arbeiten. **ელექტრონული რესურსები:** • Legal Writing Institute, http://www.lwionline.org • Association of Legal Writing Directors, http://www.alwd.org

	• AALS Section on Legal Writing, Reasoning, & Research, http://law.pace.edu/aals • Scribes (The American Society of Writers on Legal Subjects), http://www.scribes.org • ABA Section on Legal Education and Admission to the Bar, Communication Skills Committee, http://www.abanet.org/legaled/committees/committees.html • ABA Sourcebook on Legal Writing Programs, http://www.abanet.org/abastore/index.cfm • Legal Writing, The Journal of the Legal Writing Insitute, http://www.lwionline.org/publications/lwijournal.asp • The Scribes Journal of Legal Writing, http://www.scribes.org/publications.html#scribes • AALS Section newsletter, http://law.pace.edu/aals/past.html **დამატებითი ინფორმაცია:** http://jurist.law.pitt.edu/sg_resch.htm
სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობები	*შეავსეთ აღნიშნული გრაფა სასწავლო კურსის გავლასთან დაკავშირებული დამატებითი პირობების (მოთხოვნების) არსებობის შემთხვევაში.*

დანართი

სასწავლო კურსის შინაარსი:

1-2 შესავალი აკადემიური წერის თავისებურებებისა და მნიშვნელობის ზოგადი მიმოხილვა დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, I თავი (1)

3-4 ბლუმის სისტემატიზაცია (Bloom's Taxonomy) ინტელექტუალური ქცევის საფეხურები: ცოდნა, გაგება, გამოყენება, ანალიზი, სინთეზი და შეფასება. დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, I თავი (2) Bloom Benjamin S. and David R. Krathwohl, Taxonomy of Educational Objectives: The Classification of Educational Goals, by a committee of college and university examiners, Handbook I: Cognitive Domain. New York, Longmans, Green, 1956.

5-6 კვლევის მოსამზადებელი ეტაპი კვლევის თემისა და წინასწარი თეზისის შერჩევა: კვლევის დასაწყისში ავტორმა სასურველია, თანმიმდევრობით: - განსაზღვროს თავისი ინტერესის სფერო, - გამოკვეთოს საკუთარი შედარებითი უპირატესობა, - მოძებნოს აქტუალური თემა, - დასახოს კვლევის მიზანი,

- ჩამოაყალიბოს წინასწარი თეზისი (დასკვნა)
და საწყის ეტაპზევე მაქსიმალურად დეტალურად გადაამოწმოს იგი.
აღწერილობითი და მითითებითი თეზისები

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, II თავი (1)

7-8 ინფორმაციის მოძიება და დახარისხება

საკვლევ თემასთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება და დახარისხება მნიშვნელობის მიხედვით, დაგროვილი ინფორმაციის გაანალიზება, კვლევისთვის განსაზღვრულ დროში განსახორციელებელი სამუშაო ეტაპების ეფექტური დაგეგმვა, თემის მონახაზის (სტრუქტურის) შედგენა და კონსულტაცია.

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, II თავი (2)

9-10 კვლევის მეთოდები

კვლევის მეთოდების კლასიფიკაცია: ზოგადმეცნიერულის გამოყენება, სამართლის სპეციფიკური კვლევის მეთოდების ზოგადი მიმოხილვა
დოქტრინალური და ემპირიული კვლევის თავისებურებები

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, II თავი (3)

11-12 კვლევითი ნაშრომის სტრუქტურა და დამატებითი კომპონენტები

სამეცნიერო ნაშრომი სტრუქტურული ელემენტები და მათი მიმოხილვა.

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, III თავი (შესავალი)

13-14 ძირითადი კომპონენტები (შესავალი, ძირითადი ნაწილი, დასკვნა)

შესავალში ყურადღება უნდა გამახვილდეს შესასწავლი საკითხის აქტუალობაზე, დასახულ მიზანზე, გამოყენებული კვლევის მეთოდზე და ნაშრომის სტრუქტურის აღწერაზე. უმნიშვნელოვანესი ასპექტია პრობლემის დანახვა და მკაფიოდ დასმა.

ძირითადი ნაწილში, უშუალოდ დასახული მიზნიდან გამომდინარე, ხორციელდება კვლევა და ანალიზი.

დასკვნაში შეჯამდება შესავალში დასახული მიზნის მისაღწევად ჩატარებული კვლევის შედეგები

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, III თავი (1)

15-16 ბიბლიოგრაფია და დანართი

ბიბლიოგრაფიაში მისათითებელი ლიტერატურა: ნორმატიული მასალის, სასამართლო გადაწყვეტილებების, სამეცნიერო ლიტერატურისა და სხვა დამხმარე მასალების (მაგ. ცნობარი, ლექსიკონი და ა.შ.) გამიჯვნა.

სამეცნიერო ლიტერატურის ნაცვლად სახელმძღვანელოზე მითითების მიზანშეუწონლობა.

აუცილებლობის შემთხვევაში დამხმარე ინფორმაციის დანართის სახით წარმოდგენა.

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, III თავი (2-3)

17-18 დადასტურება ნაშრომის ორიგინალობის შესახებ;

პლაგიატი, მისი მიზეზები და სახეები

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, III თავი (4)

19-20 შინაარსობლივი სტანდარტები

აზრის სტრუქტურირება – სისტემური ფორმირება
დასახული მიზნის მისაღწევად დასმული საკითხის ამოწურვა
აზრის სრულყოფილად ჩამოყალიბება

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, IV თავი (1-3)

21-22 მითითება

ციტირება, აზრის გადმოცემა – პერიფრაზი, შეჯამება, სინთეზი

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, IV თავი (4)

23-24 ტექნიკური სტანდარტები

ნაშრომის გაფორმება, საორიენტაციო მოცულობა

დავით კერესელიძე, აკადემიური წერს სტანდარტები, V თავი

25-60 ინტერაქტიური ბლოკი

მომდევნო ლექციები ეთმობა სტუდენტთა მიერ შესაბამისი სტანდარტებით შესრულებული ნაწერების (რომელიც მათ მიეცათ საშინაო დავალების სახით) ინტერაქტიულ განხილვას. ეს პროცესი ნათელყოფს, თუ რამდენად სრულყოფილად აითვისეს მათ წინა ლექციებზე განხილული საკითხები, შესძლეს თუ არა მიღებული ცოდნის რეალიზება კვლევისას და გამოკვეთავს იმ პრობლემებს, რომელიც საჭიროებენ შემდგომ განხილვასა და გადაჭრას.